ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3152981

ნომერი: AR1486716

თარიღი : 16.03.2017

გაცემის თარიღი : 20.03.2017

გაცნობის თარიღი : 20.03.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხვამლი , N 8 (ნაკვეთის N 1/8);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი აბაშიძე პ/ნ 01031003397
- თბილისი ს.ჩიქოვანის ქ. N 20 ბ. 104

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "ჯი-დი დეველოპმენტი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204550333
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი დარჩიაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01026017366

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 3138252
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 9.02.2017

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ხვამლის ქ. N8-ში (ნაკვეთის N1/8) სასტუმროს მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხს.

გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ AR1477765 განაცხადის საფუძველზე 09.03.2017 წლის №3138252 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – დიდუბე), ხვამლის ქ. N8–ში (ნაკვეთი N1/8) შ.პ.ს. "ჯი–დი დეველოპმენტი"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. შესაბამისად, თქვენს მიერ განაცხადის რეგიტრაციისას არასწორად იქნა შერჩეული ნომენკლატურა. საჭიროა განაცხადი და საპროექტო დოკუმენტაცია ატვირთოთ ნომენკლატურაში: ელექტრონული განცხადებები>მშენებლობის ნებართვა>საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები>სასტუმრო>ქმედებები: შეთანხმებული პროექტის ცვლილება>სტადიები: მშენებლობის ნებართვა.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:
1. გრაფაში "შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები. -> .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი" არასწორდაა მითითებული თარიღი (პროექტის შეთანხმების ბრძანების თარიღია 09.03.2017);
2. არ არის წარმოდგენილი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასების და შენობა-ნაგებობის ფუძე-საძირკვლებისა და ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასების დადებითი ან უარყოფითი საბოლოო დასკვნა, ინფორმაცია შემსრულებლის (პასუხისმგებელი პირის) შესახებ, რომელიც მოიცავს შემსრულებლის სახელს/დასახელებას, საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი), პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს ან/და ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
3. შპს „ჯი-დი დეველოპმენტის“ დირექტორის - გიორგი დარჩიაშვილის მიერ გაცემული მინდობილობა (თარიღი: 03.12.2013წ. სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: N131262883) მისაღები არ არის, ვადაგასულია. საჭიროა, უფლებამოსილების დოკუმენტის წარმოდგენა;
4. საჭიროა წარმოდგენილი იქნეს მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეთა თანხმობები კორექტირებასთან დაკავშირებით (დამოწმებული შესაბამისი წესით);
5. არ არის წარმოდგენილი ბანერის ფოტო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური ამ ეტაპზე თქვენს მოთხოვნას ქ. თბილისში, ხვამლის ქ. N8-ში (ნაკვეთის N1/8) სასტუმროს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე ვერ დააკმაყოფილებს. განაცხადისა და სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამის ნომენკლატურაში ატვირთვის შემდგომ სამსახურს მიეცემა შესაძლებლობა იმსჯელოს თქვენი მოთხოვნის თაობაზე.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.